

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერი

სს დასტა რეკორდს მენეჯმენტი

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი	5
განმარტებითი შენიშვნები	6

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
<i>მოკლევადიანი აქტივები</i>			
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	4	322,180	113,155
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	531,108	250,461
მარაგები	6	16,801	21,577
		<u>870,089</u>	<u>385,193</u>
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>			
ძირითადი საშუალებები	7	189,526	99,120
არამატერიალური აქტივები	8	78,797	78,051
		<u>268,323</u>	<u>177,171</u>
სულ აქტივები		1,138,412	562,364
კაპიტალი და ვალდებულებები			
<i>მიმდინარე ვალდებულებები</i>			
საიჯარო ვალდებულებები	10	204,884	132,631
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	221,119	129,659
გადასახდელი პროცენტები		1,388	9,067
სესხები	12	58,084	60,746
		<u>485,475</u>	<u>332,103</u>
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები</i>			
სესხები	12	774,896	837,031
<i>კაპიტალი და რეზერვები</i>			
საწესდებო კაპიტალი	16	276,153	276,153
აკუმულირებული მოგება/დაგროვილი ზარალი		<u>(398,112)</u>	<u>(882,923)</u>
		<u>(121,959)</u>	<u>(606,770)</u>
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1,138,412	562,364

ფინანსური ანგარიშგება დადასტურებულია 2022 წლის 31 აგვისტოს:

გურამ სალია

დირექტორი



სს დასტა რეკორდს მენეჯმენტი,
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან და მომსახურების გაწევიდან	13	2,899,738	2,313,281
გაყიდვების თვითღირებულება		(158,882)	(105,571)
საერთო მოგება		2,740,856	2,207,710
ცვეთა/ამორტიზაცია		(64,305)	(54,689)
ადმინისტრაციული ხარჯები	14	(2,159,583)	(2,027,634)
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან		516,968	125,386
ფინანსური ხარჯი		(89,442)	(97,457)
კურსთაშორისი მოგება/ზარალი	9	29,744	(53,134)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	15	27,541	32,676
მოგება დაბეგვრამდე		484,811	7,471
მოგების გადასახადის ხარჯი	17	-	-
წლის მოგება		484,811	7,471
სხვა სრული შემოსავალი		-	-
ძირითადი საშუალებების გადაფასება		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		484,811	7,471

ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი

ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წლის მოგება/ზარალი	484,811	7,471
<i>კორექტირებები:</i>		
ცვეთა/ამოტიზაცია	64,305	54,689
კურსთაშორისი მოგება/ზარალი	(29,744)	53,134
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული მოგება/ზარალი	(1,357)	4,292
<i>საოპერაციო შედეგი საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე</i>	<u>518,015</u>	<u>119,586</u>
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(280,884)	(103,127)
ცვლილება მარაგებში	4,776	23,539
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	<u>169,086</u>	<u>50,543</u>
<i>წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</i>	<u>410,993</u>	<u>90,540</u>
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა/გაყიდვა	<u>(154,100)</u>	<u>(26,079)</u>
<i>წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</i>	<u>(154,100)</u>	<u>(26,079)</u>
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
გადახდილი პროცენტები	(7,452)	758
აღებული/გადახდილი სესხები	<u>(39,455)</u>	<u>(37,651)</u>
<i>წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</i>	<u>(46,908)</u>	<u>(36,893)</u>
ფულადი სახსრების შემოსვლა/გასვლა	<u>209,985</u>	<u>27,569</u>
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	<u>113,155</u>	<u>85,954</u>
უცხური ვალუტის ეფექტი ფულზე	<u>(960)</u>	<u>(368)</u>
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	<u>322,180</u>	<u>113,155</u>

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

იურიდიული მისამართი: თბილისი, გრ. ლორთქიფანიძის 15ა;
ფაქტიური მისამართი : თბილისი, გრ. ლორთქიფანიძის 15ა;
საქმიანობის ძირითადი სფერო : ბიბლიოთეკებისა და არქივების საქმიანობები;
ანგარიშგების ვალუტა: ფინანსური ანგარიშგება მომზადებული არის ეროვნულ ვალუტაში;
ანგარიშგების პერიოდი: ფინანსური ანგარიშგების საანგარიშო პერიოდია 2021 კალენდარული წელი, 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით

2. სააღრიცხვო პოლიტიკა და წარდგენის საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში “მსს ფასს”), რომელიც მოქმედია 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს :

1. ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშს (ბალანსი);
2. ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშს;
3. ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყის;
4. ახსნა-განმარტებით შენიშვნებს

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა შემუშავებულია შემდეგი ნორმატიული აქტების საფუძველზე:

- საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ;
- საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვისა, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ;
- ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები.

საწარმო იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებითა და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად მოქმედ ანგარიშთა გეგმას. ძირითად საბალანსო ანგარიშებს შესაძლებელია დაემატოს საჭიროებისამებრ ქვეანგარიშები. ბუღალტრული აღრიცხვა ხორციელდება ელექტრონული ფორმით.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ძირითად სააღრიცხვო შეფასებებსა და გადაწყვეტილებებს შეიმუშავებს მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან.

ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი

მენეჯმენტმა ფინანსური ანგარიშგება მოამზადა როგორც მოქმედმა საწარმომ, რაც ნიშნავს, რომ კომპანიას შეუძლია მიმდინარე აქტივების რეალიზაციით დაფაროს მიმდინარე ვალდებულებები. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები, ფინანსურ რესურსებზე წვდომა და გაანალიზა არსებული ეკონომიკური გარემო, რომელშიც მას უწევს ოპერირება.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები.

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებაზე თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან შემოსავლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილებები გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

არამატერიალური აქტივების მომსახურების ვადები.

არამატერიალურ აქტივებზე ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლობის მიღებას.

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში, შეფასებებში და შეცდომები

2021 წლის განმავლობაში კომპანიამ შეინარჩუნა წინა პერიოდში მიღებული სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები. თუმცა, გასული წლების კიდევ ერთხელ გადამოწმების შედეგად აღმოჩნდა რიგი არაარსებითი შეცდომები, რომლებიც ძირითადად გამოწვეული იყო ინფორმაციის დროულად მიუღებლობის გამო. სტანდარტების შესაბამისად კომპანიამ აღნიშნული პერიოდები დააკორექტირა რეტროსპექტულად და ცვლილებები ასახა შესაბამისად მიმდინარე წლის ფინანსური ანგარიშგების შესადარის ინფორმაციაში. აღნიშნული ცვლილებები გულისხმობს ძირითადად სასესხო ვალდებულებების ვადიანობის კლასიფიკაციის კორექტირებას და გაწეული მომსახურების თვითღირებულების გადაანგარიშებას გახარჯული მარაგების შესაბამისად.

2020

	<u>ცვლილებებამდე</u>	<u>ცვლილებების შემდეგ</u>
გაყიდვების თვითღირებულება	(97,449)	(107,499)
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	32,766	60,746

4. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

ფულადი სახსრები მოიცავს ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და ნაღდ ფულს სალაროში. ფულადი სახსრები ასახულია ნომინალით.

	2021	2020
ნაღდი ფული სალაროში	998	4,171
ფული საბანკო ანგარიშებზე	321,182	108,984
	322,180	113,155

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები არის მოკლევადიანი და მათი დაფარვის ვადა დაახლოებით 10-30 დღიანია, რომელსაც არ ერიცხება პროცენტი. ხელმძღვანელობა მოთხოვნების დაფარვიანობას აფასებს წარსულ გამოცდილებასა და სამომავლო მოლოდინებზე დაყრდნობით. თუმცა შესაძლოა მათი დაფარვის რეალური მაჩვენებლები განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის მოლოდინებისგან.

მოთხოვნებს და დებიტორულ დავალიანებებს მონაცემთა ბაზის მიხედვით გააჩნია შემდეგი სტრუქტურა:

- დებიტორების აღრიცხვის ჟურნალში ანალიზური აღრიცხვის მიზნებისათვის აღირიცხება დებიტორი ორგანიზაციების დასახელებები, ხელშეკრულების ვალუტები და მოთხოვნების წარმოქმნის თარიღები.
- გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით. გადახდილი ავანსები მიმდინარეა, რადგან გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება არის მოსალოდნელი ერთი წლის ვადაში. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.
- კომპანიის გამოცდილებიდან გამომდინარე საექვო მოთხოვნების რეზერვი არ იქმნება, თუმცა ისეთ დებიტორულ დავალიანებებს, რომელთა გადახდის ვადაც 1 წელზე მეტი გადაცილებისაა, კლიენტთან დაკავშირება შეუძლებელია, ხოლო დავების წამოწყების ხარჯები აჭარბებს სარგებელს, კომპანია ჩამოწერს, როგორც უიმედო ვალს.
- მოთხოვნები პერსონალის მიმართ- აქ აღირიცხება საქვენაგარიშოდ გაცემული თანხები, რომელთა უმეტესობის მიზნობრიობას სამივლინებო ხარჯები წარმოადგენს.
- სხვა მოთხოვნებში კომპანია აღრიცხავს აქტივების რეალიზაციიდან და სხვა არატიპიური ოპერაციებიდან წარმოქმნილ მოთხოვნებს.

6. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო მატერიალური მარაგები არის აქტივები, რომლებიც განკუთვნილია მომხმარებელზე გასაყიდად, წარმოების პროცესში გამოსაყენებლად ან მომხმარებლისთვის მომსახურების გასაწევად. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები შემოსავალში აიღება შეძენის ფაქტორივი თვითღირებულებით, რომელიც მოცავს შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან, შენახვასთან დაკავშირებულ და სხვა პირდაპირ დანახარჯებს. კომპანიის მარაგები თითქმის სრულად შედგება გასაყიდად გამიზნული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობებისგან.

წინასწარ შეძენილი საწვავის მარაგები ასევე აღირიცხება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ანგარიშზე, რომელიც ჩამოიწერება ფაქტორივი გახარჯვის მიხედვით, ავტომობილების გარბენის საფუძველზე.

სასაქონლო მატერიალური მარაგების აღრიცხვის მეთოდია უწყვეტი, ხოლო სასაქონლო მატერიალურ ფასეულობათა თვითღირებულების განსაზღვრის მეთოდია საშუალო შეწონილი.

მომხმარებლისათვის განკუთვნილი სამეურნეო და საკანცელარიო დანიშნულების საქონელი შესყიდვისთანავე მიეკუთვნება საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებს, მათ შორის სპეცტანსაცემელი და შრომის დაცვის საშუალებები- არაარსებითი ღირებულების ინვენტარი ექსპლუატაციაში გადაცემისთანავე მიეკუთვნება საოფისე ხარჯებს.

კომპიუტერული ტექნიკის ექსპლუატაციისათვის აუცილებელი ნივთები და მასალები (კარტრიჯები, მეხსიერების ბარათები, მაუსები, ყურსასმენები და სხვა) შესყიდვისთანავე მიეკუთვნება კომპიუტერის ხარჯებს.

ხელშეკრულების მიხედვით რიგი კლიენტების დოკუმენტების სათანადო პირობებში შესანახად კომპანია ვალდებულია ხშირი გამოყენების გამო დაზიანებული ყუთები ჩაანაცვლოს ახლით საკუთარი ხარჯებით. მსგავსი მარაგები ასევე ჩამოიწერება თვითღირებულებაში ყოველთვიურად შესაბამისი აქტის საფუძველზე.

7. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთით და გაუფასურების ზარალით (არსებობის შემთხვევაში). ნაყიდი ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება თვითღირებულებით რომელიც მოიცავს ნასყიდობის ფასს, განბაჟების ხარჯებს, არადაბრუნებად გადასახადებს, ტრანსპორტირების, მონტაჟისა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის ხარჯებს.

კომპანიას არ აქვს საკუთარი ძალებით აშენებული (დამზადებული) ძირითადი საშუალებები.

- ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებები აღირიცხება ნარჩენი ღირებულებით.
- ძირითადი საშუალებების ცვეთადი ღირებულება განისაზღვრება მათი პირვანდელი ღირებულებიდან სალიკვიდაციო ღირებულების გამოკლებით.
- ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით.

- მოგება, ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადებს აფასებს მენეჯმენტი გამოცდილებისა და ამ აქტივის გამოყენებით მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის შეფასების საფუძველზე. ჯგუფებისთვის განსაზღვრული შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

- ოფისის აღჭურვილობა, დაცვის და IT სისტემები- 5-7 წელი
- ავეჯი და სხვა ინვენტარი - 3-5 წელი
- სხვა და სხვა - 5 წელი

	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სხვა	სულ
თვითღირებულება				
2020 წლის 31 დეკემბერი	160,531	57,521	31,554	249,606
შემოსვლა	77,438	3,232	77,297	157,966
გასვლა	(5,060)	-	(23,611)	(28,671)
2021 წლის 31 დეკემბერი	232,908	60,753	85,240	378,901
დაგროვილი ცვეთა				
2020 წლის 31 დეკემბერი	119,886	21,490	9,110	150,486
წლის ცვეთა	25,600	6,594	14,569	46,763
გასვლის შედეგად ელიმინირება	-	-	(7,874)	(7,874)
2021 წლის 31 დეკემბერი	145,486	28,084	15,805	189,375
საბალანსო ღირებულება				
2020 წლის 31 დეკემბერი	40,644	36,031	22,444	99,120
2021 წლის 31 დეკემბერი	87,422	32,669	69,435	189,526

8. არამატერიალური აქტივები

შემძენილი არამატერიალური აქტივი შემოსავალში აიღება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს ნასყიდობის ფასს, განბაჟების ხარჯებს, არადაბრუნებად გადასახადებს და პირდაპირ დანახარჯებს აქტივის გამოსაყენებლად მომზადებისათვის. კომპანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა, წარმოდგენილია თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივებისთვის ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად, რომლებიც საშუალოდ შეადგენს 10 წელს, მაგალითად პროგრამული უზრუნველყოფისთვის და სხვა.

საკუთარი ძალებით წარმოებულ არამატერიალურ აქტივებზე გაწეული დანახარჯები კი პირდაპირ აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

	ლიცენზიები	პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
თვითღირებულება			
2020 წლის 31 დეკემბერი	5,108	120,136	125,244
შემოსვლა	-	13,644	13,644
2021 წლის 31 დეკემბერი	5,108	133,780	138,888
			-
ამორტიზაცია			
2020 წლის 31 დეკემბერი	2,056	45,136	47,192
წლის ამორტიზაცია	515	12,384	12,899
2021 წლის 31 დეკემბერი	2,571	57,519	60,091
საბალანსო ღირებულება			
2020 წლის 31 დეკემბერი	3,051	75,000	78,051
2021 წლის 31 დეკემბერი	2,536	76,261	78,797

9. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

მოცემული ფინანსური ანგარიშგების შეფასების და წარდგენის ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს, ოპერაციები სხვა ვალუტაში განიხილება, როგორც ოპერაცია უცხოურ ვალუტაში და აღირიცხება მსს ფასს მოთხოვნის შესაბამისად. კერძოდ, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები აისახება საანგარიშგებო ვალუტაში(ლარი) ტრანზაქციის განხორციელების დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები გადაფასდება ამ თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით, საკურსო სხვაობები აისახება მოგება-ზარალის უწყისში იმავე პერიოდში. 2021 წლის 31 დეკემბერს გაცვლითი კურსი ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 3.0976 ლარს და ერთი ევრო შეადგენს 3.5040 ლარს. უცხოური ვალუტით მიღებული არაფულადი მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით, მათი გადაფასება საანგარიშგებო თარიღისათვის არ ხდება.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

10. იჯარა

შენობა-ნაგებობები და საწყობები, სადაც კომპანია ასრულებს თავის საქმიანობას, კომპანიას აღებული აქვს იჯარით მეკავშირე საწარმოსგან. ის არის ერთადერთი მოიჯარე და მეიჯარესთან მისი ურთიერთობები გაწერილია ხელშეკრულების საფუძველზე. იჯარის საფასური განისაზღვრება იმ ფართის მიხედვით, რომელსაც კომპანია ითვისებს.

მს ფასს-ის მიხედვით ის განიხილება როგორც საოპერაციო იჯარა და აღნიშნული თვიური გადასახდელები აღირიცხება მოგება-ზარალში იჯარის ხარჯის სახით.

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კრედიტორული დავალიანება წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის გადახდილი თანხების ღირებულებას. ვალდებულებები, რომელთა გადახდის ვადა 1 წელზე მეტია, კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები.

საწარმო რეგისტრირებულია დღგ-ს გადამხდელად. საგადასახადო ვალდებულების დარიცხვა წარმოებს საგადასახადო ანგარიშებაში ასახული (გაანგარიშებული) გადასახადის ოდენობით (შესაბამის დეკლარაციაში ასახული თანხებით).

12. სესხები

კომპანიას აქვს სესხი აღებული დამფუძნებლებისგან და დაკავშირებული საწარმოსგან, ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში. აღნიშნული სესხები წარმოადგენს გრძელვადიან სესხებს, რომელთა საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება ლარში საშუალოდ 12%-ში, ხოლო უცხოურ ვალუტაში 8-10%-ში.

ბანკისგან აღებული სესხი კომპანიამ სრულად დაფარა 2020 წელს.

	2021	2020
სესხები დამფუძნებლებისგან	681,708	709,782
სესხი მეკავშირე საწარმოსგან	120,296	155,228

13. შემოსავლების აღიარება

შემოსავლები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით.

კომპანიის საარქივე საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე მისი მის მიერ გაწეული მომსახურება არის რეგულარული, საიდანაც მიღებული შემოსავალი აღიარდება ყოველთვიურად. პროექტების სახით გაწეული მომსახურება კი აღიარდება მიღება/ჩაბარების აქტის საფუძველზე.

შემოსავალი აღიარდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლები ანგარიშდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

	2021	2020
შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან	131,208	96,005
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	2,927,412	2,217,276
სხვა	9,140	1,928

14. ხარჯების აღიარება

ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით.

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს პერსონალის, იჯარის, კომუნალურ, სამეურნეო და იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

	2021	2020
გაყიდვებიდან წარმოქმნილი ხარჯები	14,831	9,462
დასაქმებულთა ხელფასები	1,068,988	873,280
საკანცელარიო და საოფისე ხარჯები	36,189	23,132
კომუნალურები	51,529	27,102
სხვა	1,211,236	1,150,352

15. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი

ისეთ შემოსავლებს/ხარჯებს, როგორცაა ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული მოგება/ზარალი, სადაზღვევო კომპანიების მიერ ანაზღაურებული ხარჯები ან შეღვათები აღიარდება სხვა არასაოპერაციო შემოსავლებად/ხარჯად, რადგან მსგავსი ეკონომიკური სარგებლის მიღება არ წარმოადგენს კომპანიის ძირითადი საქმიანობიდან წარმოქმნილ ოპერაციებს.

16. კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებების საწესდებო კაპიტალში (მათ შორის საწესდებო კაპიტალის, დამფუძნებლების და ა.შ) შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ აქციონერთა გადაწყვეტილებით კრების ოქმის საფუძველზე. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის კაპიტალში მისი დამფუძნებლების ფაქტობრივი შენატანების მიხედვით.

აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

17. მოგების გადასახადი

2017 წლის ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება.

მოგების გადასახადი გადაიხდება, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები, რომლებიც არაა დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან, ან უსაბუთოდაა გაწეული.

18. ფინანსური რისკები

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით.

ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის, სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს.

ფინანსური რისკების მართვის ძირითადი ამოცანებია: რისკების ლიმიტების დადგენა და შემდეგ რისკების მაჩვენებლების ამ ლიმიტების ფარგლებში შენარჩუნება. საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მართვის მიზანია, შიდა პროცედურების სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფა საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მინიმუმამდე დასაყვანად.

კომპანიაზე გავლენას ახდენს საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი ნიშნავს, რომ კონტრაქტორი დროულად ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს.

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილებების შედეგად. კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი, სავაჭრო და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებებთან კავშირში.

გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიას არ გააჩნია ცვალებადპროცენტიანი სესხები, მიმდინარე პერიოდში მას არ გააჩნია საპროცენტო რისკი.

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს.

ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულადი სახსრების შენარჩუნებას და დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობას. კომპანია აკონტროლებს ამ ტიპის რისკებს ვადიანობის ანალიზის მიხედვით. კომპანიას აქვს ფული და სხვა სახის მაღალი ლიკვიდურობის აქტივები, რომლებიც უზრუნველყოფს მიმდინარე ვალდებულებების დროულ გასტუმრებას.

19. COVID 19

არსებობს ზოგადი განუსაზღვრელობა COVID 19-ის მომავალი გავრცელების შესახებ, მაგრამ საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ხელმძღვანელობა თვლის, რომ კომპანიის ფუნქციონირება მოქმედი საწარმოს პრინციპით არ დგას რისკის ქვეშ. კომპანიის ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ საოპერაციო დონეებზე დრამატული ცვლილებების გარეშე

განაგრძობს საოპერაციო მოქმედებებს მომავალში, აქედან გამომდინარე, ეს ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია მოქმედი საწარმოს პრინციპის საფუძველზე.

20. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვან მოვლენებს ადგილი არ ჰქონია.